



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 96

22/12/2017

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2017 წლის 21 დეკემბრის №4 დასკვნისა და საკრებულოს ბიუროს 2017 წლის 22 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს დაფუძნება და რეგისტრირებულად ჩაითვალოს 2017 წლის 21 დეკემბრიდან.

მუხლი 2. ინფორმაცია ფრაქციის დაფუძნებისა და ფრაქციის თანამდებობის პირთა არჩევის შესახებ სადამფუძნებლო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნოს სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროს“ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება გამოსაქვეყნებლად გადაეგზავნოს ადგილობრივ გაზეთი „თერჯოლა“-ს.

მუხლი 4. განკარგულება ჩაბარდეს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარეს ავთანდილ ჩუბინიძეს.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო